# ხელშეკრულება №56
## სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
## (მომსახურების შესყიდვა)

22 ოქტომბერი 2016 წელი

ქ. გორი

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ქ. გორის მუნიციპალიტეტის მერიის სპორტული ცენტრი (საიდენტიფიკაციო კოდი: 417876640) წარმოდგენილი მისი დირექტორის ნოდარ მეტრეველის სახით (შემდგომში – შემკვეთი) და მეორეს მხრივ, ფიზიკური პირი ილია ტლაშაძე (შემდგომში – შემსრულებელი), ხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

### 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემკვეთის დავალებით, შეთანხმებული ანაზღაურების სანაცვლოდ, შემსრულებლის მიერ მსაჯის მომსახურების გაწევა: კერძოდ 2016 წლის 23 ოქტომბერს ქ. გორში ტარდება გიორგი კარელიძის სახელობის ტურნირი კრივში - მსაჯის მომსახურება.

### 2. მომსახურების ობიექტი

2.1 მომსახურების ობიექტია: მსაჯის მომსახურება CPV 92600000

### 3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. მომსახურების ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში - ლარში.

3.2. მომსახურების ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს – 80 ლარი დარიცხვით, ხოლო ხელზე ასაღები თანხა – 64 ლარი.

### 4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა, ხარისხი და გარანტია

4.1 მომსახურების გაწევის ვადაა – 2016 წლის 23 ოქტომბერი.

4.2 შემსრულებელი იძლევა გარანტიას, რომ მომსახურების ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემკვეთის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

4.3 შემსრულებელი ვალდებულია მომსახურება გაწიოს პირადად.

### 5. მომსახურების ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მომსახურების ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსრულებლისა და შემკვეთის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

### 6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

6.1. შემსრულებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.

6.2. მომსახურების ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, თანხის შემსრულებლის საბანკო რეკვიზიტებზე გადარიცხვით.

### 7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემკვეთს უფლება აქვს:

-შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

7.2. შემკვეთი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება შემსრულებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

7.3. შემსრულებელს უფლება აქვს:
- მოსთხოვოს შემკვეთს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4. შემსრულებელი ვალდებულია:
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

## *8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას*

8.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

8.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

## *9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა*

9.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან – 2016 წლის 1 დეკემბრამდე.

## *10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა*

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## *11. ფორს-მაჟორი*

11.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

11.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

11.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

## *12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი*

12.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## 13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1. შემკვეთი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
13.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემკვეთის მხრიდან განახორციელებს ორგანიზაციის დირექტორი.
13.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემკვეთი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.
13.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება შემსრულებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 14. სხვა პირობები

14.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
14.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
14.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებით და რისკით.
14.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
14.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

## 15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

**შემკვეთი:**

ა(ა)იპ ქ. გორის მუნიციპალიტეტის
სპორტული ცენტრი
ს/კ 417876640
სახელმწიფო ხაზინა TRESGE22
გორი, სტალინის ქ. №11
ტელ : 0(370) 27-91-03

/ნ. მეტრეველი/

**შემსრულებელი:**

ფიზიკური პირი : ილია [illegible]
პ/ნ 59001000999
ანგ : № GE14LB0711106216215340

/ ი. [illegible] /

# მიღება-ჩაბარების აქტი

(ხელშეკრულების პირობების შესრულების შესახებ)

გორი  23 ოქტომბერი 2016 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – ქ. გორის მუნიციპალიტეტის მერიის სპორტული ცენტრი (შემდგომში – შემკვეთი) წარმოდგენილი მისი დირექტორის **ნოდარ მეტრეველის სახით** (საიდენტიფიკაციო კოდი 417876640) და მეორეს მხრივ ფიზიკური პირი ილია ტლაშაძე (შემდგომში როგორც - შემსრულებელი) ვადგენთ წინამდებარე აქტს მასზედ, რომ 2016 წლის 22 ოქტომბრის ხელშეკრულების სახელმწიფო შესყიდვების შესახებ (მომსახურების შესყიდვა) მოთხოვნათა შესაბამისად „შემკვეთი" „შემსრულებელს" გაწეული სამუშაოს სანაცვლოდ გადაურიცხავს 80 ლარს დარიცხვით, ხოლო ხელზე ასაღები თანხა – 64 ლარი.

აქტის სისწორეს ვადასტურებთ ხელმოწერებით.

შემსრულებელი : ი. [signature]

შემკვეთი :

SPORTS CENTER OF GORI MUNICIPALITY CITY HALL
GEORGIA
417876640

ი. ტლაშაძე